საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება
N514

05.07.2013წ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთათვის სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის ,,ა'' და ,,ნ'' ქვეპუნქტების საფუძველზე და ,,საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 17 მაისის N377 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი მოთავსების იზოლატორის (დმი) თანამშრომლის ქცევის ინსტრუქციის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შმდგომში-სამინისტრო) ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთათვის სამკერდე ნიშანი თანდართული დანართის შესაბამისად.
2.დაევალოს სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სამკერდე ნიშნის დამზადება და გაცემა.
3.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი
დამტკიცებულია
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
2013 წლის --05-- ----07---- №-514-- ბრძანებით